პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
სუთშაბათი
8 ნოემბერი
№ 257 (17602)
ფასი 2 კაპ.

საბჭოთა ხალხმა, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავი.

მოსკოვი. წითელი მოედანი, 7 ნოემბერი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკადრო-საქინაფორმის ტელეფოტო.

ოქტომბრის მძლავრი ნაბიჯი

სამხედრო პარადი და მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია 1979 წლის 7 ნოემბერს

ისტორიის კალენდარში ოქტომბერი XX საუკუნის მთავარი მოვლენაა. „ავრორას“ ზალპით დაიწყო ახალი ხანა კაცობრიობის ცხოვრებაში — მსოფლიოს სოციალისტური გარდაქმნის ხანა, და ოქტომბრის რევოლუციის თითოეული წლისთავი კიდევ ერთი ღირსსახსოვარი ნიშანსვეტი ხდება ხალხის ამ შემართებულ გზაზე.

გაფურჩქვნილი, ძლავრი, აღმავლობითი ენერგიით აღსავსე ხალხად დიდი ოქტომბრის სამშობლო 62-ე წლისთავს. ჩვენი წინსვლის პერსპექტივები სკკპ XXV კონგრესის ისტორიული გადაწყვეტილებებით არის განსაზღვრული. საბჭოთა ადამიანები შთაგონებულნი და მიზნისადასახულად ასპარეზზე ბორკეს, „ცდილობენ მთლიანად გამოიყენონ განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობანი. ეს საწარმოები და ქალაქები, ითონის ცეცხლოვანი მდინარეები და პარეველეულის ოქროს ნაკადები, ტაიგაში გაყვანილი ლიანდაგები და ატომმავლები, არქტიკის უკუნოვან ყინულებს რომ არღვევენ, — ასეთია საბჭოეთის შრომითი რიტმი.

სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია. ზავის ლენინური დეკრეტი იწყება ჩვენი ქვეყნის ისტორია. და მის ყველა ეტაპზე ბოლშევიკებისათვის ბრძოლა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელმძღვანელ და წარმართველ ძალას!“ — წერია ტრანსპარანტზე, და ყოველი ჩვენგანი ამ საოქტომბრო მოწოდებას თავისი სანუკვარი გრძნობების გამოხატულებად მიიჩნევს.

კრემლის გალავანს ამშვენებს სსრ კავშირის გერბი, მომმე მოკავშირე რესპუბლიკების გერბები, რომლებმაც ისტორიაში პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო შექმნეს. მაღალ ფლაგშტოკზე კრემლის ქორგურეგნად მოფრიალე დროშის ათიანათი თოქოს მთელ მოედანზე ციმციმებს და მის სადღესასწაულო დროშებში მეორდებაო.

დღეს აქ სასტუმრო ტრიბუნებზე შეიკრიბნენ ისინი, ვისითაც ამაყობს სამშობლო: კომუნისტური პარტიის ვეტერანები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირები, პირველი ხუთწლედების დამკვრელები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. აქ არიან საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი.

მაცხოვრის კოშკის საათის ისრები 10-ს მიუახლოვდა.

მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მხურვალედ მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი.** აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

წითელი მოედნის ქვაფენილზე მწყობრად გარინდულან საალალოდ შეკრებილი ჯარის ნაწილები. ქარი არხევს მძიმე, ოქროთი მოქარგულ დროშებს საბრძოლო ჯილდოების ლენტებით. ახალგაზრდა ჯარისკაცები, რომლებსაც ისინი თავს დაჰფრიალებენ, ომს არ მოსწრებიან. მაგრამ ამ საზეიმო წუთებში ბევრ მათგანს თვალწინ უდგება 41 წლის ოქტომბრის პარადი, რომელიც ისტორიის კუთვნილებად იქცა. იმ სუსხიან, თოვლიან საგანგაშო დღეს პირდაპირ წითელი მოედნიდან მიდიოდნენ ფრონტზე მოსკოველ გმირი დამცველები. მიდიოდნენ სამშობლოს სადიდებელი საგმირო საქმეებისათვის, მიდიოდნენ უკვდავებაში...

მათი შვილები და შვილიშვილები უფროს თაობათა მხედრული დიდების ღირსეული მემკვიდრენი არიან. და დღეს მოსკოვის მშვიდობიანი ცის ქვეშ საალალო მწყობრში ისინი მხარს უსწორებენ დიდი სამამულო ომის ჯარისკაცებს.

დილის ათი საათია. მაცხოვრის კოშკის კარიბჭიდან ღია მანქანით გამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **დ. ფ. უსტინოვი**, მის შესახვედრად მიემართება პარადის სარდლის მანქანა. მოედნის შუაგულში, მავზოლეუმის წინ, მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ვ. ლ. გოეოროვი პატაკს აბარებს. მინისტრი იღებს პატაკს და უვლის ჯარებს, ულოცავს მათ დღესასწაულს. პასუხად გრიალებს ძალუმი „ვაშა!“.

ჯარების ჩამოვლის შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვას წარმოთქვამს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავს.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის, ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური შეგობრობის ვითარებაში. წარმატებით ხორციელდება პოლიტიკური ხაზი, რომელიც სკკპ XXV კონგრესმა შეიმუშავა. საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, ერთგული ლენინელის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თავდადებული გარჯის შედეგად ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვნად დაწინაურდა კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით. ამაღლდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკა, შრომელთა ცხოვრების დონე. თანამიმდევრულად ხორციელდება მეათე ხუთწლედის გეგმები. სტაბილური ტემპით ვითარდება მრეწველობა. უდიდესი მუშაობა მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის პროგრამის შესასრულებლად. მთელ ქვეყანაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის. კიდევ უფრო განვითარდა საბჭოთა მეცნიერება და კულტურა. საბჭოთა ხალხის ახალი თვალსაჩინო მიღწევა გახდა ყველაზე ხანგრძლივი, 175 დღის პილოტირებული ფრენა კოსმოსურ სივრცეში.

ოქტომბრის იდეები მოძმე სოციალისტური ქვეყნების საქმეებშიც იმარჯვებენ. საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების მიღწევების განსაკუთრებით კონტრასტულად მოჩანს იმ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების ფონზე, რომლებმაც კაპიტალისტური სისტემა მოიცვა.

განუხრელად ძლიერდება რევოლუციური პროცესები მსოფლიოს ყველა რაიონში. საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან წარმატებებს, რომლებიც აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებმა მოიპოვეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ ლენინურ საგარეო პოლიტიკას. მათი აქტიური და მიზანდასახული საქმიანობის მეოხებით საბჭოთა ხალხი აგერ უკვე მეოთხე ათწლეულია მშვიდობის პირობებში ცხოვრობს და შრომობს. ჩვენი პარტია და სახელმწიფო მომმე პარტიებთან და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად თანამიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის, გამბედავი შეიარაღების ალაგმვის, სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო კონფრონტაციის დასუსტების პოლიტიკას, იბრძვიან ხალხთა თავისუფალი დამოუკიდებელი განვითარების უფლების განხორციელებისათვის.

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გზაზე პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი ახალი ნაბიჯი გახდა სსრ კავშირის ინიციატივები, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა ბერლინში ამა წლის 6 ოქტომბერს წარმოთქმულ სიტყვაში. მათი მთავარი მიმართულებაა დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომი გაღრმავება და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცება. სსრ კავშირის კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც ლენინური საგარეო პოლიტიკის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელების ღირსეული მაგალითია, სახავენ შესაძლებლობას თავიდან ავიცილოთ გამაღაძებული შეიარაღების მორიგი ძაღლიერება, დავადგეთ რეალური განიარაღების გზას. მათ მხურვალე მოწონებითა და მხარდაჭერით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები, სოციალიზმის მომმე ქვეყნების ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ამასთანავე თავი წამოყვეს იმ ძალებმაც, რომლებსაც არ ეპიტნავათ სსრ კავშირის ინიციატივა. შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა ქვეყნების რეაქციული ძალები ინიციბებიან ფლიდური პროპაგანდით „საბჭოთა ომისმიერი საფრთხის შესახებ“, და ცდილობენ განახორციელონ დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების საშიში გეგმები, ყოველნაირად ისწრაფვიან გაბარდონ ნატოს ბლოკის სამხედრო ძალიერება და მოაპოვებინონ მას სამხედრო უპირატესობა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებზე. იმპერიალიზმის მილიტარისტული წრეები და სხვა ძალები წინააღუდგნენ დაძაბულობის შენელებასა და განიარაღებას, ცდილობენ ჩაახშონ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ერევიან სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში.

ჩვენი სამშობლოს უშიშროების ინტერესები, რთული საერთაშორისო ვითარება საბჭოთა ადამიანებისაგან მოითხოვს დიდ სიფხიზლეს, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძალიერების განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მომმე პარტიებთან ერთად ყველაფერს ღონობს, რათა დაუმკვიდროს საბჭოთა ხალხსა და ჩვენს მოკავშირეებს მტკიცე მშვიდობის პირობებში ცხოვრებისა და შრომის შესაძლებლობა.

საბჭოთა არმია და სამხედროსაზღვაო ფლოტი საიმედოდ დგანან რევოლუციის საქმის, მშვიდობისა და სოციალიზმის საღარაჯოზე. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის, დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა მეომრები ამრავლებენ არმიისა და ფლოტის სახელოვან ტრადიციებს. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სა-

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესია ქ. თბილისში 1979 წლის 11 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 6 ნოემბერი.

საზეიმო სხდომა კრემლში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავის გამო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 7 ნოემბერს დარბაზობა გამართა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, დ. ფ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი.

დარბაზობაზე იყვნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების თვალსაჩინო მოღვაწენი.

აქ იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, თვალსაჩინო მხედართმთავრები, წარმომადგენლები მოწინავენი, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტი მფრინავები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დარბაზში აგრეთვე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საზღვარგარეთელი სტუმრები, რომლებიც მოსკოვში დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავის აღსანიშნავად ჩამოვიდნენ, სამღვდელოების წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, გულითადად მივესალმო ჩვენი სადღესასწაულო დარბაზობის ყველა სტუმარს და, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის მონაწილეებს. წითელ მოედანზე დღეს კიდევ ერთხელ დამაჯერებლად დამტკიცდა ჩვენი შეიარაღებული ძალების მაღალი დონე, რომლებიც ხალხის მშვიდობიან ცხოვრებას იცავენ, და ამასთანავე დადასტურდა საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტიურობის უდიდესი გაჯანება.

ბევრს მიაღწია და ბევრი რამ შექმნა ამ წელს ჩვენმა ხალხმა — მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, ბევრი გვაქვს გადაუწყვეტელი ამოცანაც. ჩვენ გვწამს ხალხთა შესაძლებლობანი, სრულად გვაქვს შეგნებული მომავალი საქმეების მნიშვნელობა და ამ რწმენით ვუახლოვდებით ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

ჩვენი მიზნები ნათელი და კეთილშობილურია. ისინი საბჭოეთის ალისფერ დროშაზე გამოკვეთილა დიდმა ოქტომბერმა. ეს არის მშრომელი ადამიანების მშვიდობა და ბედნიერება. ეს გვახსომებს ფრთას მთელ ჩვენს მოქმედებაში როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე საერთაშორისო სარბიელზე. ჩვენ ერთგულნი ვართ ვ. ი. ლენინის ანდერძისა, რომელმაც საბჭოთა სახელმწიფოს შექმნიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ განაცხადა, რომ „რესპუბლიკას სურს მშვიდობიანად იცხოვროს ყველა ხალხთან და მთელი თავისი ძალები მიმართოს შინაური მშენებლობაზე“.

ახლა საერთაშორისო ვითარება ისეთია, რომ იგი მოითხოვს არა ზოგად ლაპარაკს მშვიდობისა და განიარაღების შესახებ, არამედ რეალურ ნაბიჯებს გამალებული შეიარაღების ასალაგმავად, ხალხთა, სახელმწიფოთა შორის ნდობის განსამტკიცებლად. სწორედ ამ მიზნისაკენ მიმავალი გზის კონკრეტული საქმეებით იმსჯელებენ ხალხები მთავრობის, პარტიების, სახელმწიფოთა და საზოგადო მოღვაწეების პოლიტიკაზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას, სოციალიზმის მომმე ქვეყნებთან ერთად შეაქვს და აკეთებს შეიტანს თავის მნიშვნელოვან წვლილს მშვიდობის განმტკიცებაში. ჩვენ მზად ვართ ახალი კონსტრუქციული მოლაპარაკებისა და ახალი პრაქტიკული ნაბიჯებისათვის, თუ ასეცა გვიპასუხებენ. მშვიდობის საქმე ჩვენთვის განუყოფელია ოქტომბრის საქმისაგან და მას ბოლომდე ვუერთგულებთ.

მინდა წარმოვთქვა სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს ამ დარბაზში მყოფთ!

— გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

— გაუმარჯოს ჩვენს ლენინურ პარტიას!

— გაუმარჯოს სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის ახალ წარმატებებს!

— გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობას!

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ).

✦ ✦

დარბაზობამ გულთბილ და გულიანად ვითარებაში ჩაიარა.

ხელოვნების ოსტატებმა სადღესასწაულო კონცერტი გაუმართეს დარბაზობის მონაწილეებს.

(სა.ქდესი).

შთაგონებული, გმირული შრომისათვის

7 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სოციალისტური შრომის გმირს ვერიკო ანჯაფარიძეს გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს medaliონი „ნამგალი და ურო“. მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი ღვაწლისათვის.

მაღალი ჯილდო გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. ბილაშვილმა. მმართველი ვ. ანჯაფარიძეს, მან თქვა:

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გვინდა მოგილოცოთ ეს დიდი და დამსახურებული ჯილდო. იგი იმის დადასტურებაა, რაც ოქვი მთელმა ხალხმა აღიარა. ვერავითარი პატივება ვერ აღამაღლებს ადამიანს, თუ ეი სახალხო აღიარებით არ სარგებლობს. თქვენ უყვარხართ ხალხს, მას უყვარს თქვენი შესანიშნავი ხელოვნება, რომელსაც ისოდენ გულუხვად აზიარებთ.

სახელოვან მსახიობს გულითადად მიულოცეს ამხანაგებმა ე. ა. შევარდნაძემ, გ. ნ. ენუქიძემ, ა. ნ. ინაურმა, გ. ვ. კოლბინმა, თ. ნ. მენთეშაშვილმა, ზ. ა. პატარიძემ, ჯ. ი. პატიაშვილმა, ო. ე. ჩერქეზიამ, ზ. ა. ჩხეიძემ, ს. ე. ხაბეიშვილმა, თ. ი. მოსაშვილმა და ქ. ქ. შარტავამ.

— სამოც წელზე მეტი გავატარე სცენაზე — თქვა საპასუხო სიტყვაში ვ. ი. ანჯაფარიძემ. — ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შემეძლო ჩემი გრძნობების დაოკება. ახლა კი ვფიქრობ, ძალიან ვფიქრობ... მოგახსენებათ, შემოქმედება ნიჭი ადამიანს ციდან არ მოსდის, უდიდესი გარჯის გარეშე არ არსებობს დიდი ხელოვნება, ალალმართალი სცენური ცხოვრება. ხალხმა მუდამ იცის ეს, გრძნობს ყოველივეს და გულგრილი ვერ დარჩება შემოქმედისადმი... ეს მაღალი ჯილდო, მე რომ გადმომეცით, ხელოვნების გარჯის მნიშვნელობას ადასტურებს. ქართული თეატრი მუდამ ამაყ იყო საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების მძლავრი ფაქტორი. ჩვენ კიდევ უფრო მეტი მუშაობა გვმართებს, რათა უკეთ მოვახდოთ ჩვენი ვალი ხალხის წინაშე, უკეთ შევასრულოთ ჩვენი მისია.

უდიდეს მადლობას მოვახსენებ პარტიას ჩემი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ვ. ი. ანჯაფარიძის დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა.

(საქინფორმი).

ოქტომბრის მძლავრი ნაბიჯი

(დასასრული).

მსახური შრომისა და მხედრული გაწვრთნილობის, ზნეობრივი სისპეტაკისა და ვაჟკაცობის, პატრიოტიზმისა და ამხანაგობის შესანიშნავი სკოლაა. თავიანთ უცვლელ საბრძოლო ვაჯტზე საბჭოთა მეომრები დგანან ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მებრძოლებთან ერთად. ჩვენს ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საბჭოეთის შეიარაღებული ძალები მუდამ მზად არიან პირნათლად მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამეოთე წლისთავს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და მის სასიქადულო შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ვაშა!

• • •

მოედანზე ქუხს სამგზის „ვაშა!“, გრიალებს საარტილერიო სალუტი, ნაკრები სამხედრო ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

ისტორიის მუზეუმიდან მოისმის დაფდაფების ხმა. ჯარების პარადს ტრადიციისამებრ ხსნიან ნორჩი მედოლეები — მოსკოვის სამხედრო-სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები.

უზადო სწორებით მოდიან მ. ვ. ფრუნზეს სახელობის აკადემიის, ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის სახელობის ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემიის, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის ქიმიური დაცვის სამხედრო აკადემიის, ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის, პროფესორ ნ. ე. ჟუკოვის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის მსმენელები.

წითელვარსკვლავიანი თეთრცისფერი დროშით მოაბიჯებენ ლენინგრადის ა. ს. პოპოვის სახელობის რადიოელექტრონიკის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის აღსაზრდელნი. წელს მათ წილად ხვდათ პატივი პარადზე უწარმომადგენლონ ჩვენს სასიქადულო სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

მეზღვაურებს მოსდევენ გვარდიული სპარაშუტო-სადესანტო პოლკის მეომრები, მოსკოვის საბჭოს სახელობის მოსკოვის უმაღლესი სასაზღვრო სამეთაურო სასწავლებლის, შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის პოლკის ქვედანაყოფის საველუმო კოლონა, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის დივიზიის მეომრები. ტრიბუნები გულთბილად მიესალმებიან მოსკოვისა და კალინინის სუვოროვის სამხედრო სასწავლებლების აღსაზრდელებსა და ლენინგრადელ ნახიმოველებს.

მტკიცე ნაბიჯით მოდიან მოსკოვის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის უმაღლესი საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებლის — ოქტომბრის თანატოლის კურსანტები. 1918 წელს პირველად გამოვიდნენ პარადზე სასწავლებლის აღსაზრდელნი და მას შემდეგ ისინი მუდამ მონაწილეობენ წითელ მოედანზე გამართულ საზეიმო მარშებში. მარტო ერთხელ, 41-ის ნოემბერში, ისინი აქ არ იყვნენ — კურსანტები ცალკეული პოლკის შემადგენლობაში ლენინგრადელ მისაფგრამზე იცავდნენ.

მოედანს მოეფინა მძლავრი მოტორების გუგული. იწყება საბრძოლო ტექნიკის მარში. ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით მოდიან მ. ი. კალინინის სახელობის ტამანის მოტომსროლელი დივიზიის ქვედანაყოფები. ამ დივიზიას პირველთა შორის მიენიჭა „გვარდიული“ საპატიო წოდება. იმათ, ვინც დღეს გამოვიდა წითელ მოედანზე, სიამაყით ჩაიბარეს წინამორბედთა საბრძოლო ესტაფეტა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს დივიზიას თავიანთი საგმირო საქმეებით ომის წლებში. ტამანელებს სცვლის „ფრთოსანი ქვეითი ჯარი“ — ავიასადესანტო ჯარები, გუგუნით მოდიან გვარდიის ანტიმიროვიის სატანკო დივიზიის საბრძოლო მანქანები.

დიდი სამამული ომის წლებში უჭკნობი დიდება მოიპოვა მძლავრმა საბჭოთა არტილერიამ. ახლა წითელ მოედანზე მოდიან თანამედროვე მრისხანე რეაქტიული დანადგარები.

პარადის ესტაფეტას იღებენ ქვეყნის საჰაერო დაცვის საზენიტო-სარაკეტო ქვედანაყოფები. კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მზრუნველობის მეოხებით საჰაერო დაცვის ჯარები სიუკეთისა საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილნი. ისინი შეიარაღებული არიან მართული რაკეტების ავტომატიზებული კომპლექსებით და საყოველთაოდ დამჭერი ავიაგამანადგურებლებით, რომლებსაც შეუძლიათ ზუსტად მოარტყან საჰაერო მიზანს, რომელიც მნიშვნელოვანად არის დაშორებული დასაცავ ობიექტებს.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო დარაჯი, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. წითელ მოედანზე გამართულმა სამხედრო პარადმა კვლავ ცხადყო მათი ძლიერება, მზადყოფნა — პარტიისა და ხალხის პირველი მოწოდებისთანავე ღირსეულად დაიცვან ოქტომბრის მონაპოვარნი. საკადრისი პასუხი გასცენ ნებისმიერ აგრესორს.

ჯაისმის დაფდაფების ხმა. წითელ მოედანზე შემოდიან მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაციის მონაწილენი. კოლონა სხივებად მოეფინა მოედნის ასფალტ-ბეტონის ნაწილს.

დროშები, ვიმპელები აღსანიშნავ ტალღად ეცლება მოედანს და მავზოლეუმთან ჩერდება. მის ყვარცხლბეკს საზეიმო მელოდიის ხმაზე ამკობენ ყვავილებთ. „დიდ ლენინს — დიდება! დიდება! დიდება!“ — გაისმის მთელ მოედანზე.

შემოდიან საზეიმო მსვლელობის მონაწილეთა ახალი კოლონები. მათ მოაქვთ ლოზუნგები, რომლებიც ადიდებენ კომუნისტთა ლენინურ პარტიას, იწონებენ საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. აღსანიშნავად არის შემკული სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი და ტრანსპარანტი: „საბჭოთა ადამიანებმა იციან: სადაც პარტიაა — იქ არის წარმატება, იქ არის გამარჯვება“.

მანიფესტაციის მონაწილენი ალისფერი ალმებით წერენ: „დიდება“. შემდეგ ისინი სწრაფად გადაჯაჭვიდნენ და წითელ ასოებად ადგიზგიზეს „სკკპ“. „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას დიდება! დიდება! დიდება!“— ერთხმად გაიძახიან დემონსტრანტები.

მოედნის შუაგულში მოჩანს სსრ კავშირის ალუმინირებული გერბი, რომელსაც არშიად შემოვლებია მოკავშირე რესპუბლიკების გერბები. კოლონების თავზე აღიმართა ტრანსპარანტები, რომლებიც ადიდებენ სსრ კავშირის კონსტიტუციას — მსოფლიოს პირველი სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითად კანონს.

დემონსტრანტთა კოლონების თავზე ფრიალებს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების დროშები, პანნოები, რომლებიც ასახავენ მათს წარმატებებს სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში.

მოედანზე დღესასწაულის მონაწილეთა ფერხულმა დედამიწის ციისფერი პლანეტა გამოსახა. ტრიბუნები მქუხარე ტაშით ხვდებიან მის ფონზე ალიფეგებულ სანუკვარ სიტყვას — „მშვიდობა“.

მშვიდობის — ადამიანობის ფასდაუდებელი განძისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული საბჭოთა ადამიანების ყველა საქმე და აზრი.

ჩვენს მომავალს, ჩვენს იმედსა და სიყვარულს ბავშვები შეადგენენ. არ არსებობს ქვეყნად ყვავილი, ბავშვის ღიმილზე ლამაზი რომ იყოს. მთელი პლანეტის ცითილი ნების ადამიანები აერთიანებენ თავიანთ მეცადინეობას, რათა უზრუნველყონ მოწმენდილი ცა თავიანთი შვილებისათვის.

საბჭოთა კავშირში ყველაფერი კეთდება ჩვენი საზოგადოების ამ ერთადერთი პრივილეგირებული კლასის ბედნიერებისათვის, საზოგადოებისა, სადაც თანასწორუფლებიანობისა და ხალხის ხელისუფლების პრინციპებია გაბატონებული. „ბავშვური ოცნების ნათელ სამყაროს ვხედავთ ბავშვთა თავშესაქცევ და მგრძნობიარე სურათებში, რომლებიც კოლონებს მოაქვთ ბავშვის საერთაშორისო წლის ემბლემასთან ერთად. მოედანზე ჩამოატარეს ფოტოსურათები, რომლებიც აღბეჭდილია ლეონიდ ილიას ძის დაუვიწყარი შეხვედრა არტიკლოებთან.

საზეიმო მარშის ყველაზე ნორჩმა მონაწილეებმა—დედაქალაქის პიონერებმა აირბინეს მავზოლეუმის საფეხურებზე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ყვავილები და წითელი ბაფთები მიართვეს.

მოსკოვის ცაში აიჭრა ათასობით ფერადფერადი საჰაერო ბურთი.

ჟღერს სიმღერა. პარტიაზე. მოედნის ცენტრში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტებია. გაისმის შეძახილებში ლენინის პარტიის, სამშობლოს სადიდებლად.

იწყება სადღესასწაულო დემონსტრაცია, ფიერი, წყალსავსე მდინარესავით მოედინებიან მოედანზე საოქტომბრო კოლონები. წინ მოაქვთ ჩვენი წითელვარსკვლავიანი დედაქალაქის, გმირ ქალაქ მოსკოვის დროშა. ზღვა ხალხის თავზეა ლოზუნგები, დიაგრამები, ტრანსპარანტები. მშრომელი მოსკოვი დემონსტრაციისათვის ემზადებოდნენ, ავტოქარხნელებმა მეწინავე მანქანას — იგი ოქტომბრის აღსანიშნავად რევოლუციისფრად—წითლად იყო შეღებილი, — მიამაგრეს პლაკატი, რომელზეც წარწერილი იყო:

„მუშა მეპატრონე აგებს ავტომობილს, რომელიც არა ჭერნია კაპიტალისტ მეპატრონეს!“. მუშათა კლასობრივი ოცნება ახდა: „ზილის“ მარკის ავტომობილები დღეს ცნობილია მთელ ქვეყანაში, ისინი იგზავნება ორმოცდაათზე მეტ სახელმწიფოში.

პირველი ხუთწლედების ავტოქარხნელთა სახელოვან ტრადიციებს ამრავლებენ სამოცდაათი წლების ზილელები. სადღესასწაულო კოლონას მოაქვს ტრანსპარანტი „კაცრის მუშათა შრომითს ესტაფეტას პირნათლად ატარებს ავტოქარხნელთა ახალგაზრდა თაობა“. ყველასათვის ცნობილია მათი პატრიოტული ინიციატივა „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდათა ენთუზიაზმი და შემოქმედება!“.

„ორჯონიკიძელთა მარშის“ ხმებში ქვეყნის მთავარ მოედანზე შემოვიდნენ სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის წარმომადგენლები. შესანიშნავი ტრადიციების მქონე კოლექტივი გულდაჯერებით მიაბიჯებს ტექნიკური პროგრესის ავანგარდში. მეათე ხუთწლედში მანქანათმშენებელთა მიერ შექმნილი მოწყობილობა— სახარატო ავტომატები, ავტომატური ხაზები, რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხები — შესაძლებლობას მოგვცემს დავზოგოთ 25 ათასი მუშის შრომა. მათი გამოყენების შედეგად მიღებული სახალხო--სამეურნეო ეფექტი ათმილიონობით მანეთს შეადგენს.

ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშაკთა — საზეიმო დემონსტრაციის მონაწილეთა შორის ბევრია შრომითი დინასტია. თითოეული ასეთი ოჯახის ისტორია საბჭოთა მუშათა კლასის — კომუნიზმის მშენებლობაში წამყვანი ძალის სოციალური ზრდის მჭევრმეტყველური მაგალითია.

ოქტომბერი, რომელმაც განსაზღვრა მსოფლიოს ბედი, ეპოქალური, მსოფლიო-ისტორიული დღესასწაულია. და ამავე დროს იგი პირადიც არის თითოეული ჩვენგანისათვის. „რით არის აღსანიშნავი თქვენთვის წლევანდელი ოქტომბრის წლისთავი?“ — საკდესის კორესპონდენტებმა ამ კითხვით მიმართეს საზეიმო კოლონებში, სტუმართა ტრიბუნებზე მყოფ თანამოსაუბრეებს. აი ზოგიერთი პასუხი.

ოლღა კუზნეცოვა, ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ქარხნის გადამხვეელი:

— ოქტომბერი მთელი ჩვენი პროგრამისათვის განსაკუთრებით ძვირფასი დღესასწაულია. ჩვენი კომუნისტური შრომის კოლექტივი ატარებს მოსკოვის ოქტომბრის ბრძოლის ერთ-ერთი გმირის ლისიკ ლისინოვას სახელს. ვცდილობთ ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ისე, რომ ვიყოთ ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლთა ნათელი ხსოვნის ღირსი. ოქტომბრის 62-ე წლისთავმა მე, ისევე როგორც ჩემს თანამოსაქმეებს, ბევრი ბედნიერება, წარმატება მოგვიტანა შრომაში. ვიტყვი მთავარ სიხარულზე: მე მომიღეს ლენინური პარტიის რიგებში.

ედუარდ კოლმანოვსკი, კომპოზიტორი:

— ბევრი კეთილი საქმით არის ძვირფასი ჩემთვის ეს ოქტომბერი—იგი აღსავსეა ხორცშესხმული გეგმებით, სიმღერებით, რომლებმაც იპოვეს მსმენელები, შეხვედრებთ, რომლებმაც ახალი მეგობრები შემძინეს. მიმდინარე წლის ორი მოგზაურობა — ციმბირსა და კომის ასს რესპუბლიკაში, უნდა ითქვას, ყველაზე შთამბეჭდავია ჩემს ყველა წინანდელ მოგზაურობას შორის. ჩვენ ვიყავით მენავთობეებთან და ტყის მჭრელებთან, გეოლოგებთან და მეირმეებთან. ვნახეთ მძლავრი, გოლიათი მხარე და მისი ღირსი ადამიანები, მოგვიანებით, როცა როიალს მივუჯექი, ვფიქრობდი ამ ადამიანებზე და მესმოდა: მათთვის ცუდად მუშაობა არ შეიძლება.

თავად მიჭირს შევაფასო ჩემი შრომა. მაგრამ, როცა ტაიგის დაბაში ჩემი სიმღერა მესმოდა, მიხაროდა: ზაშასადამე, იგი სჭირდებათ ადამიანებს.

შანდორ პოვაჟოი, მეტალურგიული და მანქანათმაშენებელი კომბინატის „წითელი ჩეპელის“ მუშა (უნგრეთი):

— თქვენი ოქტომბერი ჩვენი ოქტომბერიც არის, რადგან სწორედ მან გაუცისკროვნა უნგრელ ხალხს ახალი ცხოვრების გზა, თავისი დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისადმი ჩეპელელებმა მუშურად ზუსტად და ქმედითად გამოხატეს: ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს დაიწყეს სოციალისტური შეჯიბრება დიადი თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის. შემდეგ ამ მოძრაობას ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენში, უნგრეთშიც და სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც. მაგრამ მიმდინარე წლის ყველაზე მკაფიო მოვლენა, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი ჯადასცა „წითელ ჩეპელს“. ეს მიგვაჩნია დიდი ოქტომბრის იდეები ხუთწლედები. ასობით წარმოების მუშაკმა სამშობლოს უპატაკა ოთხი წლისა და წლიური დავალებების ვადამდე შესრულება.

მოედანზე ფერადი ჩითის ქსოვილით მოსილი განთქმული ტრიობორკის“ „მატრიოშკები“ შემოდიან. ამ გოგონათა ფერხულის ცენტრშია სიმპათიური ოლიმპიური დათუნია, რომელიც მოგვაგონებს, რომ საწარმო თავისი პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს უძღვნის მომავალ მოსკოვის ოლიმპიადას.

წლითიწლობით იზრდება და მშვენდება დედაქალაქი. იგი უბადლოა მსოფლიოში მშენებლობის გაგებით. სწორედ ამიტომაც მშენებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე საპატიოა ჩვენს ქალაქში. მაი ნორმომადგენლებს ეკუთვნით მნიშვნელოვანი როლი ინასუხსაკი ამოცანის გადაწყვეტაში, რომ მოსკოვი გადაკეთონ სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად. უმშენებლებოდ წარმოუდგენელია ოლიმპიური მოსკოვიც, 1980 წლის ოლიმპიადის წინ დედაქალაქში აშენებული ახალი სპორტული ნაგებობანი მოსკოველთა ოსტატობის ჩინებული ატესტაციაა.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ ქალაქის ათასობით მცხოვრებმა ახალმოსახლეობა იდღესასწაულა. მთელი აგებული საცხოვრებელი ფართობის დაახლოებით მეოთხედი პირველი სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივის ანგარიშზეა. საზეიმო კოლონაში არიან სოციალისტური შრომის გმირები ვ. კოპელევი და ა. სუროვცევი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ვ. ბორისოვი და სხვები.

— ჩვენი ბრიგადისათვის, — თქვა ვ. ბორისოვმა, — ეს წელი განსაკუთრებულია, ჩვენ მოგვანიჭეს უფლება აგვეშენებინა ახალი სერიის მეთაური სახლი ერთიანი ლარალოგის უნიფიცირებული დეტალებისაგან. ჩვენ წარმატებით ჩავაბარეთ გამოცდა, დღესასწაულის წინ დავამთავრეთ ულამაზესი 16-სართულიანი სახლის მშენებლობა. ასეთი შენობები მოხერხებულია მობინადრეებისათვის, ორიგინალურია არქიტექტურით, ისინი ამრავალფიროვნებენ დედაქალაქის ახალი საცხოვრებელი მასივების სილუეტს და, თუმცა, ჩვენი სახლი უფრო კომფორტული, უფრო კარგად არის მოპირკეთებული, და მაშასადამე ძვირადაც დაუჯდა სახელმწიფოს, ბინის ქირა წინანდელია — ყველაზე იაფი მსოფლიოში. იგი არ იცვლება, როგორც ცნობილია, უკვე ნახევარი საუკუნეა.

მოედანზე შემოდიან მოსკოვის მეტროშენებელთა სახელოვანი კოლექტივის წარმომადგენლები. შრომითი წარმატებებით ეგებებიან ისინი დღესასწაულს—ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის ოთხი წლის დავალებანი. წელს ვადაზე ხუთი თვით ადრე მიიღო მგზავრები მეტროპოლიტენის „გორკოვსკაიას“ ახალმა სადგურმა, წლის დამლევისათვის მწყობრში ჩადგება კალინინის რადიუსი ექვსი სადგურითურთ — ცისფერი ექსპრესები წავლენ დედაქალაქის პეროვის, ნოვოგირეევოს დიდ საცხოვრებელ მასივებში, საამედოდ დაეკავშირებენ მათ ქალაქის ცენტრთან.

ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის — ასეთია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის საქმიანობის უმაღლესი კანონი. ტრანსპარანტებზე, რომლებიც დღესასწაულის მონაწილეებს მოაქვთ, წარწერილია საბჭოთა ადამიანების სამადლობელი სტუდენტები კომუნისტთა ლენინური პარტიისადმი, ისინი ადიარებენ დიდ წვლილს, რომელიც მიუძღვით მის ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და რეალიზაციაში.

ოქტომბრის პალიტრაში მზის სხივივით ჩაწნული ოქროს ძნა: მოიდანზე არიან ტიმირიაზევის რაიონის წარმომადგენლები. და როგორც ყოველთვის, მათ გვერდით მოდიან მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები.

„სოფლის მეურნეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საზრუნავია“ — წარწერილია ტრანსპარანტზე, რომელიც კოლონას მოაქვს.

სადღესასწაულო წითელი მოედანი ტაშს უკრავს ალტაისა და არაშავმიწანადადგანი ზონის, ციმბირისა და ვოლგისპირეთის მიწათმოქმედებსა და მეცხოველეებს. დიდს განსაკუთრებით მიესალმებიან ყაზახეთის მშრომელებს: ყამირის ათვისების 25-ე წლისთავის წელს მათ ქვეყანა გაახარეს ჩინებული მოსავლით. ყაზახეთის რეკორდული პური იწონის მილიარდ 250 მილიონ ფუთს!

მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მწყობრშია სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კ. ბორინი, — ადამიანი, რომლის სახელი ლეგენდასავით ეცვიდა ქვეყნის მატიანეში ისევე, როგორც შესულია სტახანოვისა და ვინოგრადოვების, ბუსიგინისა და ანგელინას სახელები. განთქმული კომბაინერი, დიდი სამამულო ომის გმირი, ახლა აკადემიის დოკენტი, მხვნელ-მთესველთა ეკლას ზრდის.

— ყოველი ადამიანი ერთნაირად ვისებურად ითვლის, — თქვა კოსტატინე ბორინმა. „ჩემ [illegible] პერის ჰექტარებით [illegible] მლებსაც ჩემი მოწაფეები იღებენ.

ტრიბუნებზე დღესასწაულის სტუმართა ალყაში მოქცეულან სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები ვ. ლიახოვი და ვ. რიუმინი, რომლებმაც საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებში ჩაწერეს ახალი ფურცელი — კოსმოსში ყველაზე ხანგრძლივი ფრენა. „სალიუტ-6“ სადგური, რომელშიც ისინი დაახლოებით ნახევარ წელიწადს შრომობდნენ, კვლავ დაფრინავს ორბიტაზე და მზად არის მიიღოს მკვლევართა ახალი ეკიპაჟები. ტრიბუნებზე კოსმოსის ყველაზე ხანგრძლივ ბინადრებთან ერთად არიან მათი თანარაზმელი ამხანაგები, სოციალისტური ქვეყნების მომავალი კოსმონავტები, რომლებიც ემზადებიან სამუშაოდ საბჭოთა მამალდიბსა და ორბიტულ სადგურებში.

საბჭოთა მეცნიერების ამ კოსმოსური მწვერვალებისაკენ გზა ყოველწლიურად გაჰკაფავს დედაქალაქის ათობით კვლევითს კოლექტივს, რომელთა შთაგონებული ძიება საქმიანი პასუხია პარტიის იმ მოწოდებაზე, რომ ავამაღლოთ ყველის ეფექტიანობა, განგამტკიცოთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან.

მუშა მოსკოვთან ერთად მოადგებენ მწერლები, მხატვრები, მსახიობები. „ხელოვნებისა და შრომის კავშირი“ — ჩვენი გმირული დროის მიერ წამოყენებული ის ლოზუნგი მათი საარსებო პროგრამა გახდა, და ხუთწლედის მიღწევებს ეძღვნის მოსკოვის ოლიმპიადას.

შექმნან ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც ნიჭიერად ასახავენ საბჭოთა ხალხის გმირულ მიღწევებს, სოციალისტური საზოგადოების განვითარების პრობლემებს და ლაბავარს ჩასკვიმენ ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებს, — ასეთია კულტურის ოსტატთა წინაშე „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიერ დასახული პასუხსაგები ამოცანა. ამ ამოცანების გადაწყვეტის საჭიროება კვლავ ხაზგასმით აღინიშნა ალიმენტ ფიფერა: საადღესასწაულო მარშზეა დედაქალაქის სიჭაბუკე. ბევრი სახელოვანი მიღწევაა ახალგაზრდობის — კომკავშირის 39-მილიონიანი მოწინავე რაზმის ანგარიშზე.

დღესასწაულის წინ ახალგაზრდობამ ახალი ფურცელი ჩაწერა გმირობის მატიანეში: მოსკოვმა საზეიმოდ გააცილა ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე რკინიგზელთა პირველი სრულიად საკავშირო დამკვრელური კომკავშირული რაზმი. 550 მოხალისემ მიიღო მაგისტრალის მშენებელთა გმირობის ესტაფეტა. 550 თვისი საქმის ჩინებული ოსტატი, რომელსაც ბაიკალ-ამურის მაგისტრალი თავის შრომითს ჯილდოებრებზე ელოდება, მატარებლებს ატარებს ტინდა-ბერკაკიტის უბანზე.

ახალგაზრდობა მუდამ დგას ხუთწლედის მოწინავე მიჯნებზე. მის დამკვრელურ საქმეთა გადაძახილია საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგური და კომის საავტომობილო ქარხანა, დასავლეთ ციმბირის ნავთობგაზის საბადოები და არაშავმიწანადადგანი ზონა, 1980 წლის ოლიმპიადის ობიექტები და მოსკოვის მეტროპოლიტენი. კომკავშირმა 145 მშენებლობა სრულიად საკავშირო დამკვრელურ მშენებლობად გამოაცხადა, და თითოეული მათგანი ახალგაზრდობისათვის მოქალაქეობრივი სიმწიფის სკოლა, ცხოვრების სკოლაა.

დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავის დღესასწაულობა პარტიისა და ხალხის ერთიანობის მკაფიო, შთამბეჭდავი დადასტურება გახდა. მიღწეული წარმატებათა პატაკებით საბჭოთა ადამიანებმა ყველა ცხადყვეს ერთგულება კომუნისტური პარტიის მაღალი იდეალებისადმი, რევოლუციური ტრადიციებისადმი, მტკიცე გადაწყვეტილება — შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული წინასწარდასახულობანი, მშვიდობიანი, აღმშენებლობითი შრომით გააძლიერონ საბჭოეთი, რომელიც გულდაჯერებით მიადგა კომუნისტური მშენებლობის გზით. ოქტომბრის ესტაფეტა საიმედო ხელშია!

რეპორტაჟი წითელი მოედნიდან გადმოსცეს საკდესის კორესპონდენტებმა ტ. აკურატოვამ, ლ. ბერნასკონიმ, ვ. ჯალალოვნამ, ლ. ერმაკოვამ, ვ. სეროვმა.

ჩვენი სამშობლოს ქალაქებში

კომუნისტურ მშენებლობის საბჭოეთის სახელოვანი მეციხოვნისთვის სიამაყის გრძნობით ხვდნენ ჩვენი ქვეყნის სხვა სხვა რესპუბლიკების და ქალაქების მშრომელები ნაყოფიერ თაო სახალხო დღესასწაულს.

ლენინგრადი. დიდი ოქტომბრი ცოცხლობს საბჭოთა ადამიანების — სახელოვანი რევოლუციური უფროსი თაობების საბრძოლო და შრომითი ტრადიციებსა და კვიდრეებისა და გამგრძელებელ გულებში.

ოთხმოცდახუთი განვლილი, სამოცდაორი წითელი ოქტომბერი — ასეთია ლენინგრადელ კომუნისტების უხუცესის, სოციალისტური შრომის გმირის ვინოგრადოვის ცხოვრების, რომელიც ვიბორგის მხარის მ[illegible] მით კოლონების საფოსტასწინ[illegible] კოლონაში მოაბიჯებს. რევოლ[illegible] ამ გამოსვლა ამ ადამინის ბ[illegible] რომელიც ლენინური პარტ[illegible] წევრია 1915 წლიდან. აქ, ვიბ[illegible] გის მხარეში, ვინოგრადოვი [illegible] ლენინს შეხვედრია. აი, „ავ[illegible] რას“ ნაცნობი სილუეტიც, სა[illegible] ნაც ტრადიციისამებრ იწყობა ფ[illegible] სასწაული, მშობლიური მიტა[illegible] რგიული ქარხანა, სადაც დაბ[illegible] ვეტერანის მუშური ბიოგრაფ[illegible]

ამყამად მეტალურგიული [illegible] ხანა ჩვენი ქვეყნის უდიდესი [illegible] ლსაშენებელი ფირმის -მეფ[illegible] საწარმოა. დემონსტრაციაზე [illegible] კოლექტივი გამოვიდა პატ[illegible] „არის 1.200.000!“ ილიჩტრ[illegible] ლელებთან ერთად მელითონ[illegible] შექმნეს მსოფლიოში უმძლავრ[illegible] აგრეგატი.

სასახლის მთელი მოედანი წ[illegible] ლი დროშებითა და ტრანსპა[illegible] ტებითაა მორთული, იგი ლ[illegible] გრადის შთამბეჭდავი კოლექტ[illegible] რი პატაკია დიდი ოქტომბრის[illegible] მი, ჩინებულად იშრომეს ლ[illegible] გრადელებმა საოქტომბრო [illegible] ტზე.

საღდესასწაულო კოლონ[illegible] ვხედავთ ხუთწლედის უდიდ[illegible] ახალმშენებლობების გეოგრ[illegible] — ბამს, უსტ-ილიმსკს ზე[illegible] სამრეწველო კომპლექსს, სა[illegible] შუშენსკოეს ჰიდროელექტრო[illegible] დგურის, ციმბირის ნავთობ[illegible] რეწების გეოგრაფიას, ამ და ბ[illegible] რი სხვა მისამართით იგზავ[illegible] დღეს ლენინგრადის მარკ[illegible] პროდუქცია.

ბაკო. შრომის ნამდვილ ჰიმ[illegible] ოქცა ბაქოელ მშრომელთა საღ[illegible] სასწაულო სვლა, რომლებმაც [illegible] ტომბრის დღესასწაული ახ[illegible] მიღწევებით აღნიშნეს ხუთწ[illegible] დის ვაჯტზე. ტრანსსპარანტებ[illegible] ვხედავთ მოწინავე სამრეწველ[illegible] საწარმოთა კოლექტივების, ინ[illegible] წოამოქმედთა პლაკატებს, რ[illegible] ლებმაც ვადამდე შეასრულეს [illegible] ხელმწიფოსათვის მარცვლეულ[illegible] ბამბის, ბოსტნეულის, ყურძნ[illegible] და სხვა კულტურების მოყ[illegible] ვის გეგმა-ვალდებულებანი. [illegible] ლის მშრომელებს ეს გამარჯ[illegible] დღესასწაულის წინ გულთბილ[illegible] მოლოცა ამხანაგმა ლ. ი. ბრ[illegible] ნევმა.

ვ. ი. ლენინის სახელობის [illegible] ედანზე მიაბიჯებენ მენავთობეებ[illegible] გაზის მომპოვებლები, მანქ[illegible] მშენებლები, ქიმიკოსები, ენერ[illegible] ტიკოსები, მშრომელები, [illegible] ლებიც თავიანთი ბედ-იღბლის [illegible] ტონ-პატრონნი არიან, ოქტო[illegible] მონაწილეობენ წარმოების მარ[illegible] ვაში. აზერბაიჯანის საწარმოებ[illegible] შექმნილია ათას ხუთასამდე მუ[illegible] მივმომქმედი საწარმოო თათბ[illegible] მისი 65 ათასი მონაწილე წ[illegible] წარმოების ეფექტიანობის ამ[illegible] ლებისა და მუშაობის ხარის[illegible] გაუმჯობესების უმნიშვნელოვან[illegible] საკითხებს.

ბევრი იმათგანის კოსტიუმებ[illegible] ვინც სადღესასწაულო კოლონებ[illegible] მიაბიჯებს, სსრ კავშირისა და ა[illegible] რბაიჯანის სს რესპუბლიკის უმ[illegible] ლესი საბჭოების დეპუტატთა [illegible] შნებს ვხედავთ.

ერევანი. ვერცხლისფერი ხ[illegible] თკუთხედის გამოსახულებები, რ[illegible] მლებმაც დღესასწაულის დღ[illegible] ვ. ი. ლენინის სახელობის მ[illegible] დანს გადაუარეს, რესპუბლი[illegible] მშრომელთა წარმატებების საუ[illegible] თესო სიმბოლო იყო. მათი რიგ[illegible] 26-ს აღწევდა — სწორედ ამდ[illegible] სახეობის პროდუქციას უშვებ[illegible] ახლა ხარისხის სახელმწიფო [illegible] ნით. შრომითმა კოლექტივებ[illegible] ვალდებულება იკისრეს ხუთწ[illegible] დის დამლევამდე საატესტაციო [illegible] წარადგინონ სამასი ნიმუშის პ[illegible] დუქცია.

მოედანზე პირველად გამოსულ[illegible] უფლება მინიჭებული აქვთ შ[illegible] ტექნიკისა და მსუბუქი მრეწ[illegible] ლობის საწარმოებს, რომლებმ[illegible] საპატიო ემბლემიანი პროდუქციი[illegible] გამოშვება 80 პროცენტამდე გ[illegible] დიდეს, შეჯიბრების გამარჯვეებ[illegible] თა წითელი ლენტებით მოდის [illegible] მ. კიროვის სახელობის ქიმიურ[illegible] ქარხნის მეაპარატეთა ბრიგა[illegible] რომელსაც სოციალისტური შრ[illegible] მის გმირი, სსრ კავშირის უმა[illegible] ლესი საბჭოს დეპუტატი ს. პე[illegible] როსიანი ხელმძღვანელობს, დ[illegible] სასწაულის წინ მან ხუთი წლ[illegible] პროგრამა შეასრულა.

გეიმოგს პლანეტა

მთელი **პროგრესული კაცობრიობა საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავს. მსოფლიოს ბევრ დედაქალაქში მოეწყო ღირსშესანიშნავი იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო კრებ

იდიდე მარად, ჩვენო სამშობლოვ!

სადღესასწაულო კარადი და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

ფითლად მორთულა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ქუჩებში და მოედნებზე, დემონსტრანტთა კოლონებში მოჩანს ალისფერი დროშები და პანნები. ტრანსპარანტები ადიდებენ კომუნისტურ პარტიას, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელსა და საქმეს, კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

სადღესასწაულოდაა მორთული თბილისის მთავარი მაგისტრალი — რუსთაველის პროსპექტი.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავს! —ამ ლოზუნგით გამოდიან დედაქალაქის ქუჩებში დემონსტრანტთა კოლონები.

ყოველ დღესასწაულს, და მათ შორის წლევანდელსაც, თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს. იგი ერთგვარად აჯამებს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის ნაყოფიერი შრომის კიდევ ერთ წელს. დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებით შეასრულეს ათი თვის დავალება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მრავალი დარგის მუშაკებმა. მშრომელთა კოლექტივები სრულად იყენებენ ძალებსა და რეზერვებს სახელმწიფო გეგმით დასახული ახალი მიჯნების მისაღწევად. საბჭოთა საქართველოს მშრომელები ზრდიან რესპუბლიკის წელილს საერთო-საკავშირო დოვლათში.

ზეიმის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეიავსო ტრიბუნები პროსპექტზე. ალისფრად კიაფობს სადღესასწაულო ბაფთები რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან თბილისში ჩამოსული პარტიისა და კომკავშირის ვეტერანების, დიდი სამამულო ომის გმირების, კომუნისტური შრომის დამკვრელების, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეების, ცნობილი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების მკერდზე.

სულ უფრო ახლოვდება თბილისის გარნიზონის ჯარების სადღესასწაულო პარადის დაწყების საზეიმო წუთები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილასვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მელითუშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზიი, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ო. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ვ. ი. ვადაჭკორია, ზ. ბ. ბელდიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ი. ი. ქედიშვილი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი **ა. მ. ოვერჩუკი,** თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. დ. გაბუნია.**

... დილის ათი საათია. რუსთაველის პროსპექტზე ღია მანქანით შემოდის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **ო. თ. კულიშევი,** რომელიც პარადს იღებს. მის შესახვედრად მანქანთან მიემართება პარადის სარდალი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი **ვ. ვ. სალტიკოვი.** გაისმის შემზეიდრი მარში. პარადის სარდალი პატაკს აბარებს ო. თ. კულიშევს.

ო. თ. კულიშევი ჯარებისაკენ მიემართება და სპარადო მწყობრის ჩამოვლის დროს მეომრებს ულოცავს დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავის დღესასწაულს. პასუხად გაისმის ომაზიანი „ვაშა!“

ჯარების შემოვლის შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკი ო. თ. კულიშევი ადის ტრიბუნაზე და მიკროფონთან მიდის. ფანფარები დამსწრეთ აუწყებენ: „ისმინეთ ყველამ!“.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი წარმოთქვამს სიტყვას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის სახელითა და დავალებით ჯარების სარდალი შეესალმა და მიულოცა ჯარისკაცებს, სერჟანტებსა და პრაპორშჩიკებს, ოფიცრებსა და გენერლებს, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავი.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ხაზს უსვამს იგი, საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლის ვითარებაში.

ჩვენი ქვეყნის მომე ხალხთა ერთსულოვან ოჯახში, ამბობს გენერალ-პოლკოვნიკი ო. თ. კულიშევი, კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ოთხგზის ორდენოსანი საქართველოსა და მისი დედაქალაქის თბილისის შეიარაღების მომხრეები იყენებენ ყოველ, თუნდაც არარსებულ, გამოგონილ საბაბს, რათა გაამწვავონ ვითარება, დაიჭქარონ საომარი მზადება.

კვლავ დაძაბულია ვითარება ახლო და შუა აღმოსავლეთში. მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის პეკინელ ხელმძღვანელთა პოლიტიკა.

ამ ვითარებაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც დაუცხრომლად ახორციელებენ ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, დღენიადაგ ზრუნავენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, საბჭოთა ადამიანების სიფხიზლის ამაღლებისათვის.

დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე დგანან გამარჯვებათა დიდებით მოსილი მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალები პარტიისა და ხალხის ყოველდღიური ზრუნვის წყალობით ისინი აღჭურვილი არიან თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით, ჰყავთ თავისი ხალხის უსაზღვროდ ერთგული, კარგად მომზადებული სამხედრო კადრები.

ფხიზლად დარაჯობენ ჩვენი მამულის სამხრეთ საზღვრებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები იყენებენ ყოველ, თუნდაც არარსებულ, გამოგონილ საბაბს, რათა გაამწვავონ ვითარება, დაიჭქარონ საომარი მზადება.

კვლავ დაძაბულია ვითარება ახლო და შუა აღმოსავლეთში. მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის პეკინელ ხელმძღვანელთა პოლიტიკა.

ამ ვითარებაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც დაუცხრომლად ახორციელებენ ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, დღენიადაგ ზრუნავენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, საბჭოთა ადამიანების სიფხიზლის ამაღლებისათვის.

დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე დგანან გამარჯვებათა დიდებით მოსილი მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალები პარტიისა და ხალხის ყოველდღიური ზრუნვის წყალობით ისინი აღჭურვილი არიან თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით, ჰყავთ თავისი ხალხის უსაზღვროდ ერთგული, კარგად მომზადებული სამხედრო კადრები.

ფხიზლად დარაჯობენ ჩვენი მამულის სამხრეთ საზღვრებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები, ფანფარების ფანფარებით დამსწრეთ აუწყებენ: „ისმინეთ ყველამ!“.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი წარმოთქვამს სიტყვას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის სახელითა და დავალებით ჯარების სარდალი შეესალმა და მიულოცა ჯარისკაცებს, სერჟანტებსა და პრაპორშჩიკებს, ოფიცრებსა და გენერლებს, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავი.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ხაზს უსვამს იგი, საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლის ვითარებაში.

ჩვენი ქვეყნის მომე ხალხთა ერთსულოვან ოჯახში, ამბობს გენერალ-პოლკოვნიკი ო. თ. კულიშევი, კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ოთხგზის ორდენოსანი საქართველოსა და მისი დედაქალაქის თბილისის

თბილისი. 7 ნოემბერი. სურათზე: თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე.

ს. კილაძის ფოტო.

მშრომელებმა. ეგებებოდნენ რა ოქტომბრის დღესასწაულს, მათ კიდევ უფრო მაღლა აწევიეს სოციალისტური შეჯიბრების დროშა და სამშობლო შესანიშნავი შრომითი წარმატებებით გაახარეს. მრეწველობის მუშაკებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ათი თვის გეგმები. გვახარებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა წარმატებები — მეჩაიეებმა, მევენახეებმა, მემინდვრეებმა და მეცხოველეებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებანი. ყველა ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს კომკავშირმა, რომელიც დღესასწაულის წინ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისადმი მიძღვნილი პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს მიზნად უსახავენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

ოქტომბრის იდეებისა და წარმატებების გავლენით მტკიცდება და ვითარდება სოციალისტურ საზელმწიფოთა დიადი თანამეგობრობა, იზრდება საერთაშორისო მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიების შეკავშირება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დაუცხრომლად იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ბერლინში წარმოთქმულ სიტყვაში წამოყენებული ახალი საბჭოთა ინიციატივები მოწმობენ ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობიან მისწრაფებებს და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხურვალე მოწონებით სარგებლობენ.

საერთაშორისო განვითარებაში მიმდინარეობს მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის შემდგომი შეცვლის პროცესი.

ომისა და აგრესიის იმპერიალისტური ძალები, გამალებული მეხედრო ოლქის მეომრები, წმიდათაწმიდად იცავენ და ამრავლებენ რა უფროსი თაობების სახელოვან ტრადიციებს, ისინი დაუცხრომლად იმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას, განამტკიცებენ სამხედრო დისციპლინასა და ორგანიზებულობას. დაძაბული მხედრული შრომით სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას.

სოციალისტური სამშობლოს დიდი ოქტომბრის იდეების უსაზღვროდ ერთგული, ლენინური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის და მისი მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა მეომრები, — ამბობს დასასრულ გენერალ-პოლკოვნიკი ო. თ. კულიშევი, ყოველთვის მზად არიან მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მეომრებთან ერთად დაიცვან სოციალიზმის დიადი მონაპოვრები.

რუსთაველის პროსპექტზე ახალი ძალით ჭეშს სამგზის „ვაშა!“ გაერთიანებული ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს. ქუხს საარტილერიო სალუტი.

პარადს ტრადიციისამებრ ხსნის მეფოლეთა ასეული, რომელიც თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის მესამე კურსის კურსანტებისაგან შედგება.

მტკიცე ნაბიჯით ჩაუარეს ტრიბუნებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოს ოფიცრებმა. კოლონის წინ მოაქვთ დიდებით მოსილი ოლქის წითელი დროშა, რომელსაც ამკობს ორდენს ლენტი. დროშა მოაქვს შტაბის ერთ-ერთ მოწინავე ოფიცერს პოდპოლკოვნიკ თ. რაზმაძეს. მის გვერდით მოაბიჯებენ ასისტენტები — პოდპოლკოვნიკი ვ. კაბანოვი და მაიორი ს. ლიკოვი.

საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. მათ შორის არიან —ჯვშნსტანკო ჯარების მარშალი ა. ბაბაჯანიანი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. შატილოვი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯოვა, პოლკოვნიკები ს. პირმისაშვილი და ს. ქიაზიმოვი, ლეიტენანტი სერგი ოგანოვი, რომელიც სამუდამოდ ჩაირიცხა სასწავლებლის პირადი შემადგენლობის სიაში, და მრავალი სხვა.

პარადში მონაწილეობენ თბილისში ჩამოსული ევნის გვარდიული წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი სასწავლო მოტომსროლელი პოლკის მეომრები. ეს სახელგანთქმული ნაწილი დიდი სამამულო ომის წლებში მუსრს ავლებდა მტერს. ამ ნაწილში აღიზარდა გმირების მთელი პლეადა. ომისშემდგომ წლებში გვარდიელები ამრავლებენ ფრონტელთა საბრძოლო დიდებას, გამუდმებით აღწევენ მაღალ შედეგებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

რუსთაველის პროსპექტზე მოდიან ავიამედესანტეები. ეს უშიშარი მეომრები ყოველთვის იწვევენ სიამაყისა და აღტაცების გრძნობას თავიანთი ყოველმხრივი მომზადებით, წრთობით, ვაჟკაცობით.

პროსპექტზე თავმოყრილი ბალხი ტაშით ეგებება მეკავშირე მეომრებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფების კოლონებს, სოციალისტური სამშობლოს საზღვრების ხელშეუვალობის ფხიზელ გუშაგებს — საბჭოთა მესაზღვრეებს.

იწყება საბრძოლო ტექნიკის მარში. მობილური და მძლავრი მანქანებია დღეს ჩვენი სამშობლოს დამცველთა განკარგულებაში. ეს არის სხვადასხვა დანიშნულების ჯავშანტრანსპორტიორები. ისინი სწრაფმავალნი არიან, აქვთ ძლიერი საცეცხლო ძალა. მაღალი მანევრულობა საცეცხლო ძალასთან ერთად საშუალებას იძლევა წარმატებით გადაწყდეს მრავალი ამოცანა ბრძოლის ველზე.

ტრიბუნებთან ჩაიარა საბჭოთა არტილერიამ, სახმელეთო ჯარების მთავარმა დამკვრელმა ძალამ — მრისხანე რაკეტებმა. ამ მძლავრმა ტექნიკამ შეისისხლხორცა საბჭოთა სამხედრო მეცნიერების უახლესი მიღწევები.

შეუძლებელია ჩვენი სახელოვანი საოქტომბრო დღესასწაულის წარმოდგენა რაადიციული სამხედრო პარადების გარეშე. ეს საზეიმო, ლამაზი და შთამბეჭდავი მხედრული რიტუალი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთგვარი პატაკია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, თავისი ხალხისადმი იმის შესახებ, რომ ყოველ წამს მზად არის იარაღით ხელში დაიცვას სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრები, მისი სახელმწიფო ინტერესები, შეასრულოს მეომრული ვალი.

წყდება ორკესტრის ხმა, გაისმის ფანფარების სიგნალი. იწყება თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების სადღესასწაულო დემონსტრაცია. მას ხსნის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა კოლონა. აქ არიან ახალგაზრდა მეჩაიეები, რომლებმაც წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი მოიწიეს, ენგურჰესის მშენებლები, რომლებმაც ვადამდე აამოქმედეს ენერგეტიკული გიგანტის სამი აგრეგატი, ახალგაზრდა მეტალურგები, ქიმიკოსები და მშენებლები.

ახალგაზრდობის პატაკი დიდებულად და ამაყად გაისმის. მარტო თბილისში მოქმედებს ხუთასზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი, ქალაქის თხუთმეტი ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლის ანგარიშში შრომობს. თავდადებული შრომის მაგალითს იძლევიან საქართველოს ახალგაზრდა წარგზავნილნი ბამის, კამბის, „ატომმაჯქანის“, დასავლეთ ციმბირისა და არაშავიწყანიადაგიანი ზონის მშენებლობებზე.

ისწავლონ, იშრომონ, იბრძოლონ და გაიმარჯვონ ლენინურად, კომუნისტურად! — ეს მისწრაფება უდევს საფუძვლად საქართველოს კომკავშირელთა აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას.

თავიანთ შრომითს წარმატებებს უპატაკებენ სამშობლოს თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. ამ რაიონმა გაიმარჯვა სადღესასწაულო კოლონის მეთაურობის უფლებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. პროდუქცია, რომელსაც რაიონის საწარმოები უშვებენ, მთელ ქვეყანაშია ცნობილი — ეს არის ელმავლები და ლითონსაჭრელი ჩარხები, სუნელოვანი ჩაი და ქსოვილები...

რაიონში წლითიწლობით თვალსაჩინო ცვლილებები ხდება. დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ გლდანელმა მცხოვრებლებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — ახალი სავაჭრო-საყოფაცხოვრებო კომპლექსი. იგი ემსახურება ოცდაათი ათას კაცს. უკვე შეუდგნენ გლდანისაკენ თბილისის მეტროს ახალი შტოს გაყვანას.

მეტროპოლიტენის მშენებლებს პირველი მაისის რაიონის დემონსტრანტთა კოლონაში ეხვიდავთ. საბურთალოს მომპოვებლებით ახალი მიწისქვეშა ტრასები მათი გაყვანილია, ხოლო სადგურის მოედანზე მეტროს სადგური მათ რეკორდულად მოკლე ვადაში — ოთხის ნაცვლად ორ წელიწადში ააშენეს. ახლა მეტრომშენებლებს ახალი ამოცანა აქვთ: ვადამდე აამოქმედონ „მიწისქვეშა რკინიგზა“ თემქისა და გლდანის დასახლებათა მიმართულებით...

მშრომელი თბილისის პატაკი გრძელდება. საუკეთესო მუშები, წარმოების მოწინავენი გამოგზავნეს საოქტომბრო მანიფესტაციაზე ქალაქის კალინინის, ოქტომბრის, კიროვის, 26 კომისრის რაიონებმა. კალინინის რაიონის დემონსტრანტთა კოლონაში ბევრი მეცნიერი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეა. სწორედ ამ რაიონშია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ჩვენი შემოქმედებითი კავშირების უმეტესობა. ტრიბუნებს მიესალმება თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელგანთქმული კოლექტივი, რომელიც ამას წინათ ტრიუმფით გამოვიდა ინგლისში.

კვლავ ისმის ტაშის გრიალი. ტრიბუნებს უახლოვდებიან თბილისის ყველაზე ახალგაზრდა რაიონის — საქარხნო რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. ისინი თავისებური რეკორდსმენები არიან ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს შორის. აი მეკვირმეტყველური ციფრები: პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით, წარმოების მოცულობისა — 113, შრომის ნაყოფიერებისა — 112 პროცენტით.

ახლა აღებულია რაიონის ბევრი საწარმოს რეკონსტრუქციისა და გაფართოების კური. მაგალითად, არსებული სარძეო საამქრო, რომელიც მხოლოდ ერთი დასახლების პროდუქციას უშვებს, გადაიქცევა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ქარხნად, რომელიც შეძლებს რძის პროდუქტებით უზრუნველყოს ქალაქი.

რაიონში იზრდება საცხოვრებელი სახლების უბნები. მარტო მიმდინარე წელს საეკსპლოატაციოდ გადაეცემა შვიდი ახალი კორპუსი ლილოს, „საქჰიდროენერგოშენის“ დასახლებებში, ვარკეთილის მასივში.

თბილისელები, რომლებიც საბჭოთა ხალხის მისწრაფებებს გამოხატავენ, სადღესასწაულო დემონსტრაციაზე გამოვიდნენ მშვიდობის, მეგობრობის, პლანეტის ხალხთა თანაშრომლობის ლოზუნგებით.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას!

ამ მოწოდების პასუხად გაისმის „ვაშა“.

პროსპექტზე გამოჩნდნენ ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. დემონსტრანტთა კოლონებში ახალგაზრდობა ჭარბობს. ეს შემთხვევითი როდია: რაიონი ცნობილია თავისი სასწავლებლებით.

ახალგაზრდების კოლონა ტრიბუნის პირდაპირ რამდენიმე წუთით ჩერდება. წყდება ორკესტრის ხმა. საზეიმოდ გაისმის ახალგაზრდობის ფიცი დიდი ლენინის ანდერძის, პარტიისა და ხალხის სამსახურისადმი ერთგულების შესახებ.

აღმშენებლობის ესტაფეტა სიმედო ხელშია.

თბილისში საოქტომბრო დღესასწაული პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ნათელ დემონსტრაციად იქცა და ახალი ძალით დაადასტურა საბჭოთა ადამიანების ერთგულება დიდი ოქტომბრის დროშისადმი, მათი მისწრაფება წარმატებით განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები, ახალ გამარჯვებებს მიაღწიონ კომუნიზმის მშენებლობებში. (საქინფორმი).

თბილისი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავის ზეიმი. სურათზე: ცენტრალური ტრიბუნა რუსთაველის პროსპექტზე.

ვლ. გინზბურგის და მ. კვირიკაშვილის ფოტო.

ზეიმობს საქართველო

გვეტყობინებენ „კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

სოხუმი

ოქტომბრის უძვირფასესი მონაპოვარი — ხალხთა ლენინური მეგობრობა წარმოაჩინეს მზიური აფხაზეთის მშრომელებმა ნოემბრის დღესასწაულზე.

დილის 11 საათია. დაიწყო სოხუმის მშრომელთა საზეიმო დემონსტრაცია. ლენინის სახელობის მოედნის ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები და კანდიდატები, აქ არიან დეპუტატები, პარტიის, სამამულო ომის ვეტერანები, შრომითი კოლექტივების მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მტკიცედ ვითარდება ავტონომიური რესპუბლიკის მრავალმხრივი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. მიმდინარე წლის ცხრა თვეში სამრეწველო საწარმოებმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 7,3 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამასთან შრომის ნაყოფიერება ხუთი პროცენტით გაიზარდა.

წარმატებით ასრულებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს. კარგი ცნობები მოდის ქალაქებიდან და სოფლებიდან, სადაც ზედიზედ სრულდება აღმშენებლობის პროგრამის — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პუნქტები.

ტრიბუნიდან დემონსტრანტებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა.

ბათუმი

სამგზის ორდენოსანი აჭარა ახალი შრომითი გამარჯვებით შეხვდა დიდი ოქტომბრის დღესასწაულს, მეჩაიეებმა ხუთწლედის გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულეს. მეციტრუსეებმა ხუთ ნოემბერს უპატაკეს სამშობლოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება. განვლილ პერიოდში მოიკრიფა 300 ათასი ტონა ოქროსფერი ნაყოფი. გეგმის გადამეტებით წარმოებულია თამბაქო, ხილი, მეცხოველეობის პროდუქტები.

თავდადებით იშრომეს მრეწველობის მუშაკებმა. წელს მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 6 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ნაწარმი.

მომხიბლავია სადღესასწაულოდ მორთული ბათუმი. დილის ათი საათია. იწყება მშრომელთა დემონსტრაცია. ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დიასამიძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უნგიაძე, სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ერთსულოვნებითა და დარაზმულობით გამოხატეს ბათუმელმა მშრომელებმა თავიანთი ერთგულება ოქტომბრის იდეებისადმი, პარტიისადმი.

ცხინვალი

ცხინვალი საზეიმოდ მორთულა. დილის 11 საათია. თეატრალურ მოედანზე აღმართულ ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, ავტონომიური ოლქისა და ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სადღესასწაულო დემონსტრაციას ხსნიან პიონერები და მოსწავლეები. მათ მოჰყვებიან ქალაქისა და ცხინვალის რაიონის ტექნიკუმების მოსწავლეები, სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. მოდის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა ნაკრები კოლონა. ტრიბუნას ჩაუარეს ცხინვალის სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლებმა, რომელთა კოლექტივებმა სამშობლოს უპატაკეს ათი თვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულება. ამ პერიოდში ცხინვალის მრეწველობამ გამოუშვა დაახლოებით 1 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

მუშაობა კლასის კოლონას სათავეში უდგას ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა გეგმა და დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები. ამ საწარმოს პროდუქციის 22 პროცენტს მინიჭებული აქვს სპატიო ხუთკუთხედი.

ოლქის მშრომელები, რომლებიც აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს, ამაყობენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებით, თავიანთი მხარის ეკონომიკის განვითარებით, კულტურის აყვავებით.

ჟუთაისი

„იდიდე, ჩემო სამშობლოვ“, ასეთი დევიზით ჩაიარა სადღესასწაულო ზეიმმა რესპუბლიკის მეორე სამრეწველო და კულტურულ ცენტრში.

7 ნოემბერს ქალაქის ახალ მიკრორაიონში, კიკვიძის სახელობის მოედანზე, მოეწყო ქუთაისელი მშრომელების სადღესასწაულო დემონსტრაცია.

შესანიშნავი წარმატებებით ხვდებიან დღესასწაულს ქუთაისელები. ქალაქის მრეწველობამ ვადაზე ხუთი დღით ადრე შეასრულა ათი თვის გეგმა. წელს ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი პროდუქციის მაჩვენებელმა 200-ს მიაღწია.

დემონსტრაციამ ქუთაისში ჩაიარა ხუთწლედის მეოთხე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმულობის ნიშნით.

სურათებზე: თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი რუსთაველის პროსპექტზე.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ზეიმი, სიხარული...

7 ნოემბერი, ზეიმი საქართველოში. სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — თბილისი, ბავშვები დემონსტრაციაზე; ქვემოთ მარცხნიდან—მშრომელთა კოლონები სოხუმსა და ბათუმში; მარჯვნივ ზემოდან — მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციები ცხინვალსა და ქუთაისში.

ვლ. გინზბურგის („კომუნისტი"), ი. ბოხონელიძის, ნ. ანასტასიევის, ლ. გუროვის და ბ. ბერსამიას (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

საერთაშორისო დღიური
ზეციერი ცხოვრება

სირია-საბჭოთა კავშირის მეგზურების დღეები

დამასკო, 6 ნოემბერი. სირიის დედაქალაქში დაიწყო სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები, დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ო. ვ. მელქაძის მეთაურობით.

დელეგაცია მიიღო სირიის არაბთა რესპუბლიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრმა მუტრბ შანანმა.

ფიდელ კასტროს განცხადება

ჰავანა, 5 ნოემბერი. (საკადესი). ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის პოზიციას ლონდონის კონფერენციაზე მხარი დაუჭირა მიუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარემ, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფიდელ კასტრომ.

„ლონდონის კონფერენციის შედეგები ვერ მოიპოვებენ საერთაშორისო აღიარებასა და მოწონებას, თუ ამ კონფერენციას არ მოჰყვა უმრავლესობის კანონიერი მთავრობის შექმნა და ზიმბაბვეს ნამდვილი დამოუკიდებლობა ქვეყნის, ხალხის მისწრაფებების, აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის, მიუმხრობლობის მოძრაობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციების რეზოლუციების შესაბამისად", — აღინიშნა აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში. ეს დოკუმენტი პასუხია ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის ხელმძღვანელთა მიმართვაზე მიუმხრობლობის მოძრაობისადმი მხარი დაუჭიროს პატრიოტული ძალების პოზიციას ლონდონის მოლაპარაკებებზე.

ნსვედასხვაგვარი შიდგომა

რომი, 6 ნოემბერი. დღის დამთავრდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ხუა გოფენის ვიზიტი იტალიაში, სადაც იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას იტალიის მთავრობის მეთაურთან ფ. კოსიგასთან.

სტუმრებმა და განცხადებებმა, რომლებითაც ერთმანეთს მიმართეს ხუა გოფენმა და ფ. კოსიგამ, ადასტურეს ურთანხმება საერთაშორისო ცხოვრების პრინციპული პრობლემებისადმი, მათ შორის ისეთი საკითხებისადმი მხარეების მიდგომაში, როგორიცაა ევროპაში დაძაბულობის შენელება.

აქ გამოაცხადეს, რომ ხუა გოფენის შეხვედრა რომის პაპთან იოანე პავლე II-სთან, როგორც ეს თავდაპირველად იყო განზრახული, არ შედგება.

ადანაშაულებენ პატრიოტებს

კაირო, 7 ნოემბერი. როგორც ისრაელის რადიო იუწყება, ღაზაში ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალთა სამხედრო ტრიბუნალმა ხანგრძლივი ვადის პატიმრობა — 7-დან 20 წლამდე მიუსაჯა რაფახსა და ჰანიუნესში მცხოვრებ სამ პალესტინელს.

მათ წაუყენეს სტანდარტული ბრალდება, თითქოს ისინი პალესტინური ორგანიზაციის „ტდ ფატხის" წევრები ყოფილიყვნენ და ავრცელებდნენ ფურცლებს, რომლებიც მოუწოდებდნენ დემონსტრაციებისა და გაფიცვებისათვის.

საბჭოთა მილიციას დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ინიციატივით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მესამე დღეს — 1917 წლის 10 ნოემბერს შექმნილი მილიცია ერთგულად და გულმართლად ემსახურება მშრომელთა ინტერესებს, კომუნისტური პარტიის საქმეს, სოციალისტური კანონიერებისა და ჰუმანიზმის მაღალ პრინციპებს. საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ყველა ეტაპზე მილიციის ძალა და ავტორიტეტი ყოველთვის და ყველგან განპირობებული იყო პარტიის ხელმძღვანელობით, მშრომელებთან მჭიდრო და განუყოფელი კავშირით.

როცა ვფიქრობთ ჩვენი მილიციის გმირულ და სახელოვან მატიანეს, უსაზღვრო პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით ვიგონებთ პირველ ჩეკისტებს, იმათ, ვინც საბჭოთა ხელისუფლების ქადაგლები რთულ პირობებში საფუძველი ჩაუყარა მის სახელოვან ტრადიციებს. ქართული მილიციის მატიანეში, რომელიც ოთხი წლით უფრო გვიან — 1921 წელს ჩამოყალიბდა, ოქროს ასოებით არის ჩაწერილი კომუნისტების ს. ხმალაძის, გ. შელიას, ვ. თალაკვაძის, გ. ჭელიძის, გ. შალამბერიძის, შ. რობაქიძისა და სხვების სახელები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მოახმარეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობასთან ბრძოლის კეთილშობილურ საქმეს.

ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება დიდი სამამულო ომის წლებში ქართველ მილიციელთა გმირობა და მამაცობა. ასობით ჩეკისტი დაჯილდოვდა საბრძოლო ორდენებითა და მედლებით, ხოლო გ. რაზმაძისა და ვ. ესებუას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ.

მტრის გამარჯვების შემდეგ მრავალმა მეომარმა დაცვალა ჯარისაკაცული ფორმა მილიციისაზე. შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ მოვიდნენ საბჭოთა კავშირის გმირები ვ. ჯანჯღავა, ა. პირმისაშვილი და ვ. ლორსმანაშვილი, მრავალი საბრძოლო ორდენის კავალერები კ. კეშელიძე, ა. ძლიერიშვილი, ბ. ვოლკოვი, მ. ციხელაძე და სხვები. ისინი მოვალეობის მაღალი შეგნების მქონენ, პატიოსანი და პრინციპული ადამიანები არიან.

— როგორ ივსება მილიციის რიგები?

— ხალხი საუკეთესო მამულიშვილებს გვიგზავნის. ისინი არიან წარმოების მოწინავენი, დიმბილიზებული მეომრები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები. სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში, ერმყარებიან მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ზედმეტი არ იქნება, აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ყველა საქალაქო და რაიონული განყოფილების უფროსები, ავრეთვე გამომძიებლები უმაღლესი განათლების სპეციალისტები არიან, რიგითი შემადგენლობის 85 პროცენტს საშუალო განათლება აქვს.

თანამედროვე მილიციის არსენალშია საანგარიშო-გამომთვლელი მანქანები, ელექტრონული ხელსაწყოები, ტელეაპარატურა და რადიოაპარატურა. ცოდნის, სპეციალური მომზადების გარეშე შეუძლებელია ამ ტექნიკის მართვა.

ჩვენი მილიცია მრავალეროვანი კოლექტივია. მის რიგებში მსახურობს ოცამდე ეროვნების წარმომადგენელი. ჩვენთან განმტკიცდა ურთიერთპატივისცემის, მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი სულისკვეთება.

— თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ახასიათებდეს თანამედროვე მილიციის მუშაკს?

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენგან მოითხოვს გადაჭრით, შეურიგებლად ებრძოლოთ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც საზოგადოებას არა მარტო მატერიალურ, არამედ მორალურ ზიანსაც აყენებენ. იმისათვის, რომ ღირსეულად გავართვათ თავი ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს, საკმარისი არ არის მარტოოდენ პროფესიული ოსტატობა, საჭიროა კიდევ შინაგანი კულტურა. შეუბღალავი რეპუტაცია, მაღალი იდეური რწმენა, პარტიული პრინციპულობა. ჩვენ გადაჭრით ვებრძოდით და ვებრძვით იმათ, ვინც არცხვენს საბჭოთა მილიციის მუშაკის წოდებას. ჩვენს თანამშრომლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ და ორმაგ უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ კეთილშობილური მიზნების მიღწევა შეიძლება მხოლოდ კეთილშობილი ორგანიზაციის მუშაობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ვცდილობთ სულ უფრო ფართოდ დავეყრდნოთ საზოგადოებრიობის შემწეობას. ამას მოვიწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მართლწესრიგის დაცვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ". რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ ქალაქებსა და სოფლებში სანიმუშო წესრიგის დამყარებისთვის, ლოობისა და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, სოციალისტური საკუთრების ხელყოფასთან ბრძოლისათვის, როგორც ამას დადგენილება მოითხოვს, ამასთან ავითარებენ და განამტკიცებენ ყოველმხრივ ერთობას შრომითს კოლექტივებთან და საზოგადოებრიობასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ხაზგრძელივი პერიოდის მოქმედების სამბრძოლო პროგრამაა. მასში ყურადღება გამახვილებულია მთავარ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია პროფილაქტიკური მუშაობის სრულყოფისთან, ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებზე აქტიურ შეტევასთან, ყოველი თანამედროობის პირის, ყოველი მოქალაქის მიერ კანონების ზუსტ დაცვასთან.

კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ ყოველი წარმატება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ადამიანებზე, მათ პროფესიულად სწორ და შეთანხმებულ მოქმედებაზე, ორგანიზებულობასა და დისციპლინაზე. ეს თვისებები თავისთავად როდი მოდის. მათ შევიძენთ იმის შედეგად, თუ ყოველდღიურად და მიზანდასახულად ჩავატარებთ პოლიტიკურ-იმმზრდელობითს მუშობას პირად შემადგენლობასთან, გვიცოდინება როგორ გადავაქციოთ სხვადასხვა ხასიათის კოლექტივი ერთიან ორგანიზმად, რომელიც შეთანხმებულად და ჰარმონიულად შეასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანას. ამ მიმართულებით მოქმედებენ ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობა. (საქინფორმი).

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

რევოლუციით ზოგილი

გვესაუბრება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი

გ. გვეტაძე.

ზეიმი, ზეიმი საქართველოში. 7 ნოემბერი, ზეიმი საქართველოში. სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — თბილისი, ბავშვები დემონსტრაციაზე; ქვემოთ მარცხნიდან—მშრომელთა კოლონები სოხუმსა და ბათუმში; მარჯვნივ ზემოდან — მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციები ცხინვალსა და ქუთაისში.

ვლ. გინზბურგის („კომუნისტი"), ი. ბოხონელიძის, ნ. ანასტასიევის, ლ. გუროვის და ბ. ბერსამიას (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

გზა მშვიდობისა „სიმდ"

„სიმდი" — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი თბილისელთა წინაშე წარსდგა ამ შემოქმედებითი კოლექტივის შექმნის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი განახლებული პროგრამით.

ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია პ. ბიტიევი, მთავარი ბალეტმაისტერი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. ალბისოვი.

მაყურებლებმა ტაშით დაჯილდოვეს სიმღერები „ჩემი ირისთონი", „ალიმის სიმღერა", „ალბადი" გუნდისა და ხალხური საკრავთა ორკესტრის შესრულებით, საცეკვაო ნომრები „მიპატიჟება", „ნარნარი ცეკვა", „ახალგაზრდული", „ცეკვა ხანჯლებით". დამსახურებული არტისტი ა. ალბისოვი.

მაყურებლებმა ტაშით დაჯილდოვეს სიმღერები „ჩემი ირისთონი", „ალიმის სიმღერა", „ალბადი" გუნდისა და ხალხური საკრავთა ორკესტრის შესრულებით, საცეკვაო ნომრები „მიპატიჟება", „ნარნარი ცეკვა", „ახალგაზრდული", „ცეკვა ხანჯლებით".

მაგრამ განსაკუთრებული წარმატება ხვდა ხვედა მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ კომპოზიციას „ალანები". რომელიც დადგა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ხ. ალგელოვამ.

„სიმდი" 1938 წელს შექმნა კომპოზიტორმა ბ. გალაევამ. რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ოსური ხალხური სიმღერების შესწავლა-შეგროვების საქმეში, ეროვნული საკრავების რეკონსტრუქციაში. პირველივე ნაბიჯებიდან ანსამბლი ვახდა ოსური მუსიკალური კულტურის პროპაგანდისტი, აცნობდა მაყურებელს სასიმღერო და ქორეოგრაფიული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს.

ახლა ანსამბლი ემზადება საზღვარგარეთ — მალაიზიაში, სინგაპურში, ტაილანდში, ბირმაში, პაკისტანსა და ინდონეზიაში სამოგზაუროდ.

გზა მშვიდობისა, „სიმდ"!.

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

ᲗᲔᲚᲐᲕᲛᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

III რესპუბლიკური კინოფესტივალის შედეგები

შედეგები შეაჯამა თელავის III რესპუბლიკურმა კინოფესტივალმა. დასკვნითს საღამოზე გამოცხადეს გამარჯვებულნი.

მხატვრული და მულტიპლიკაციური ფილმების ეიურიმ გამარჯვებულად ცნო ფილმები: „პასტორალი" (რეჟისორი ო. იოსელიანი) — რეჟისორის საუკეთესო ნამუშევრისათვის; „იმედის მწვანე კუნძული" (რეჟისორი ო. გვასალია) — აქტუალური თემატიკის საუკეთესო რეჟისორული ხორცშესხმისათვის; „დათა თუთაშხია" (რეჟისორები გ. ლორთქიფანიძე და გ. გაბესკირია) და „კავკასიური ორი მოთხრობა" (რეჟისორი გ. კალატოზიშვილი) — როგორც საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ტელეფილმები; „პეპელა" (რეჟისორები ნ. ნენოვა და გ. წულაია) და „ზღარბი" (რეჟისორი ა. ნინუა) — როგორც საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმები; „სალამურას თავგადასავალი" (რეჟისორი კ. სულაკაური) — როგორც საუკეთესო პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი.

ეიურის სპეციალური პრიზებით აღინიშნა ფილმები „ამაღლება" (რეჟისორი ნ. მანგაძე) და „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა" (რეჟისორი ა. რეხვიაშვილი). სპეციალური პრიზი სამაგვო თემის საუკეთესო დამუშავებისათვის მიენიჭა ფილმს „როცა დედები შინ არ არიან" (რეჟისორი პ. ჩარკვიანი).

ფილმ „დათა თუთაშხიაში" საუკეთესო აქტიორული ნამუშევრისათვის სპეციალური პრიზები მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. თაყაიშვილმა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ო. მეღვინეთუხუცესმა.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სპეციალური პრიზები მიენიჭათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს ი. ხვიჩიას — კაკა ბულავას როლისათვის („დათა თუთაშხია") და ზ. ქაფიანიძეს — ვაჟას როლისათვის („ამკლების დაბრუნება").

დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ეიურიმ გამარჯვებულად ცნო — „პრემიერა" (რეჟისორი გ. ლევაშოვთუმანიშვილი) — როგორც საუკეთესო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ტელეფილმი; „დალოგი" (რეჟისორი ო. გვასალია) — როგორც საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი; „კვალი ნათელი" (რეჟისორი რ. თაბუკაშვილი) — როგორც საუკეთესო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი; „რეპორტაჟი ნიდერლანდიდან" და „მეტალურგები" (რეჟისორი გ. ჟუბაბრია) — როგორც საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრები; „სკოლა მთებში" (რეჟისორი თ. დოლიძე) — სასწავლო თემის საუკეთესო ასახვისათვის; „წინ კომუნისტები არიან" (რეჟისორი ვ. მიქელაძე) — ისტორიულ-რევოლუციური თემის საუკეთესო რეჟისორული განსახიერებისათვის. ეიურიმ სპეციალური პრიზით აღნიშნა ფილმი „სიმებიანი კვარტეტი" (რეჟისორი დ. ბათიაშვილი).

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

სიმღერა თვით ცხოვრებაა

„ჩემთვის სიმღერა პროფესია არ არის", — ეს სიტყვები პარადოქსად ეღერს ზურაბ სოტკილავას ბაგეთაგან, რომლის სახელი ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე შორს, მის ფარგლებს გარეთაც. სოტკილავასთვის სიმღერა მართლაც რომ პროფესია კი არა, თვით ცხოვრებაა.

როგორც ჩანს, სწორედ შემოქმედების წყურვილმა გადაწყვიტა მისი ბედი, მისი მოსვლა დიდ ხელოვნებაში. ამან მიატოვებინა ტექნიკური ინსტიტუტი. იგი თბილისის კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე შედის. გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით კონსერვატორიაში სწავლის წლებში მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ახალგაზრდა მომღერლის კარგ ვოკალურ კულტურას, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო განავითარა იტალიაში — ნიჭიერ ახალგაზრდა საბჭოთა მომღერლებთან ერთად ზურაბ სოტკილავა ორ წელიწადს გადიოდა სტაჟირებას მილანის „ლა სკალას" თეატრში.

ყოველ დილას — ვოკალის გაკვეთილი, დღისით — საოპერო პარტიების გაზეპირება. საღამოებს ატარებდა „ლა სკალაში" — თეატრში, სადაც მსოფლიოს საუკეთესო მომღერლებსა და მუსიკოსებს უსმენდა. მუყაითმა მეცადინეობამ მალე ზურაბს პირველი დიდი წარმატება მოუტანა. ბულგარეთში ვოკალისტთა კონკურსში, რომელიც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა, ქართველმა მომღერალმა დამაჯერებლად მოიპოვა პირველი ადგილი და ოქროს მედალი.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ზურაბ სოტკილავა თბილისის ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში მიიწვიეს.

ყოველი ვოკალისტის შემოქმედებაში არის პარტიები, რომლებიც, თითქოს, მთელ ეტაპს განაზღვრავენ მისი, როგორც შემსრულებლის, ჩამოყალიბებაში. სოტკილავასთვის ერთ-ერთი ასეთი ეტაპი იყო მუშობა ხოზეს როლზე ოპერა „კარმენში".

ზურაბ სოტკილავა ამის შემდეგ დიდი წარმატებით ასრულებს ტენორის წამყვან პარტიებს ოპერებში — „ტოსკა", „სოფლის პატიოსნება", „ლუჩია და ლამერმური", „ბოჰემა". ამ რეპერტუარში რელიეფურად მოჩანს მომღერლის ნიჭის თავისებურებანი: შინაგანი „ნერვის" დიდი შთამბეჭდავი ძალით გადმოცემის უნარი, მუსიკის დრამატული მაჯისცემა, მსმენელის ემოციური მოჯადოება.

1970 წელს მომღერალმა მონაწილეობა მიიღო ორ დიდ საერთაშორისო კონკურსში — ჩაიკოვსკის სახელობისა მოსკოვის და ცნობილი ესპანელი მომღერლის ფრანსისკო ვინიასის სახელობის ბარსელონის კონკურსებში და ორივეგან საპრიზო ადგილები დაიჩაკუთრა.

1974 წელს ზურაბ სოტკილავა სსრ კავშირის დიდი თეატრის დასში მიიწვიეს. მომღერალმა დაბეგწა წინათ უკვე ნამღერი პარტიები და ადგილი დიამკვიდრა თეატრის მიმდინარე რეპერტუარში. გაჩნდა ახალი პარტიები, იგი მღერის „ტრუბადურში", „აიდაში", „კარმენში", სადაც მისი პარტნიორი ხდება სსრ კავშირის სახალხო არტისტი ელენე ობრაზცოვა.

არის პარტიები, რომლებიც უმაღლეს მწვერვალებს მოგვაგონებენ. ისინი თითქოს მიუწვდომელია ახალგაზრდა მომღერლებისათვის და ამავე დროს ხიბლავენ და იზიდავენ მათ. ერთ-ერთი მათგანია ოტელოს პარტია ვერდის ამავე სახელწოდების ოპერიდან, რომელიც შემსრულებლისაგან უზადო ვოკალურ ტექნიკასა და დაბეგნილ სახეცენო ოსტატობას მოითხოვს. **1978** წელს ზურაბ სოტკილავამ დიდი თეატრის სცენაზე შეასრულა ეს პარტია. ამ პარტიაში ზურაბ სოტკილავას გამოსვლის რეზონანსი იმდენად დიდი იყო, რომ იგი ოტელოს შემსრულებლად მიიწვიეს „ლა სკალას" სცენაზე მომავალი წლის დამდეგისათვის.

საერთოდ გასტროლებს დიდი ადგილი უკავია მომღერლის ცხოვრებაში. უახლოეს ხანს მას განზრახული აქვს ჩავიდეს პარაზში, სადაც ინდოელი სტუმრის პარტიას შეასრულებს რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „სადკოში", და ბელგიაში, სადაც ჩაიკოვსკის „იოლანტაში" ზურაბი იმღერებს თავისი რეპერტუარის ერთ-ერთ საუკეთესო პარტიას — გრაფ ვოდემონის პარტიას.

ამჟამად მომღერალი გასტროლებზეა რუმინეთში, სადაც მონაწილეობს სსრ კავშირის კულტურის დღეებში.

(ახალი ამბების სააგენტო).

უკაბელო

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲖᲔ

კიევში ადგილობრივმა „დინამომ" უეფას თასის გათამაშების განმეორებით მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის „ბანიკი" — 2:0. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მატჩში პორტუგალიის ქალაქ პორტოს „ბოავისტა" მასპინძლობდა მოსკოვის „დინამოს". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ამრიგად, ორივე საბჭოთა გუნდი ტურნირის შემდგომ ეტაპში გავიდა.

ჩინეთში საფეხბურთო ამინდის, სტადიონის ნორმალური განათებისა და სათამაშო მოედნის კარგი მდგომარეობის პირობებში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ანგარიშით 2:3 დამარცხდნენ დასავლეთ გერმანიის „ჰამბურგთან" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით მერვედფინალურ შეხვედრაში და ტურნირს გამოეთიშნენ.

ᲝᲠᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მიმდინარე ძალოსანთა შსოფლიო ჩემპიონატში, 67,5 კგ-მდე წონითი კატეგორიის ათლეტთა ასპარეზობაში ჩინებულად გამოვიდა ბულგარელი სპორტსმენი ივანკო რუსევი, რომელმაც ორი მსოფლიო რეკორდი დამყარა. მან აყარა 187,5 კგ, ხოლო ორჭიდში 332 კგ დააგროვა.

ი. რუსევმა, რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ

ნაირობი ცნობებს ოლიმპიური ასპარეზობების, მათი ისტორიის შესახებ ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე, შეიცავს ოლიმპიური ენციკლოპედიის ახალი ერთტომეული.

— ჩვენ გვინდა, რომ ამ წიგნმა რაც შეიძლება სრულად გააცნოს სპორტის მოყვარულებს ოლიმპიური მოძრაობა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მასობრივია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. — უთხრა საკადესის კორესპონდენტს გამომცემლობა „საბჭოთა ენციკლოპედიის" რედაქციის გამგემ ვ. დუბროვსკიმ.

წიგნში რამდენიმე კარია. 1896 წლიდან სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ ყველა ოლიმპიადას ცალკე კარი ეძღვნება. სპეციალური თავი დათმობილი აქვს ცნობებს ფრანგი საზოგადო მოღვაწის პიერ დე კუბერტენეს შესახებ, რომლის სახელთან დაკავშირებულია XIX საუკუნის დამლევს ოლიმპიური ასპარეზობის აღორძინება.

ყოველი სტატია ოლიმპიადების თავისებური ბიოგრაფიის თავია, რომელიც შეიცავს მონაწილეთა და იმ ქვეყნების ზუსტ რიცხვს, რომელშისაც ისინი წარმოადგენენ, ასპარეზობის პროგრამის აღწერას და მის ზუსტ შედეგებს. აქვე მოცემულია ინფორმაცია იმ ქალაქების შესახებ, სადაც ასპარეზობა მიმდინარეობდა. მკითხველი მიიღებს საკმაოდ სრულ ცნობებს ოლიმპიურ სახეობათა სპორტის ასპარეზობის მონაწილე ქვეყნების შესახებ. ბიოგრაფიული სტატიები, რომლებიც წიგნში ექვსასზე მეტია, ეძღვნება ცალკეულ სპორტსმენებს.

გამოცემაში დიდი ადგილი ეთმობა ოლიმპიურ რიტუალებსა და სიმბოლოებს. ენციკლოპედია შეახსენებს მკითხველს, რომ საერთაშორისო ასპარეზობის ემბლემა — ხუთი გადაჯდომილი რგოლი, შემოთავაზებული იყო პიერ დე კუბერტენის მიერ 1913 წელს. ყოველი ქვეყნის ეროვნულ დროშაზე არის ამ რგოლების ერთი ფერი მაინც, მათი გადაჯდომა კი ოლიმპიურ მოძრაობაში გაერთიანებული კონტინენტების სიმბოლოა.

ენციკლოპედიის სტატიების სერია ეძღვნება 1980 წლის მოსავალ XXII ოლიმპიურ ასპარეზობას, თვით ოლიმპიადის სპორტული დახასიათების გარდა დაწვრილებით არის მოთხრობილი მოსკოვზე, ლენინგრადზე, კიევზე, მინსკზე, ტალინზე — ქალაქებზე, სადაც მოეწყობა სპორტული ასპარეზობანი და, რაღა თქმა უნდა, ენციკლოპედიის ფურცლებიდან გაგვიღიმებს დათუნია — ოლიმპიადა — 80-ის თილისმა.

ენციკლოპედიის გამოშვება მომავალ წელს არის განზრახული.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ახალი ამბები" (ს.), 09.20 — „ფილმ-ვარიეტი" (ფ.), 09.45 — „ბავშვის საერთაშორისო წელი — მხატვრული ფილმი „ო. ბ. ბ.", 10.50 — „მეგზურები ევროპისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები — საბჭოთა კავშირის 1979 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები" (მ.), 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ" (ფ.). (განმეორებით), 12.30 — დოკუმენტური ფილმი, 12.50 — „საბჭოთა კავშირის 1979 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში" (მ.), 13.35 — „მზიური აფხაზეთის პანტები" — აფხაზეთის ტელევიზიის პროგრამა, (ფ.), 14.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 14.25 — 6. ჯალალონია „რწმენის ორდენის კავალერი" (ფ.), 14.40 — ჩემი ქვეყნის საუცხოო მელოდიები (ფ.), 15.35 — საბჭოთა კავშირის 1979 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში (მ.), 16.50 — ახალგაზრდობისათვის — „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი"! (ზეიმი წითელ ხიდთან), 18.15 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე" პირველი და მეორე მოქმედება (ფ.), 20.00 — მოცურის ახალგაზრდობა (ფ.), 20.40 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე" მესამე და მეოთხე მოქმედება (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი" (მ.).

მეორე პროგრამით: 17.20 — ბავშვის საერთაშორისო წელი — მხატვრული ფილმი, 18.45 — მულტიმედიური ფილმი, 19.20 — კონცერტი, 20.05 — მხატვრული ფილმი „წითელი მოედანი". (მეორე ნაწილი).

9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — თქვენთვის, მშობლებო. (მ.), 10.35 — დოკუმენტური ფილმები. „რევოლუციის ფანრები", „რევოლუციის მხატვარი", 11.05 — ცეროდნელის ეკრანი, 11.35 — დილის ფოსტა — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.05 — ბავშვის საერთაშორისო წელი — მხატვრული ფილმი „ბედნიერება საბელის ბოლოზე" (ფ.), 13.25 — მულტფილმი, 13.35 — „შემოდგომის ფერები", 14.00 — „კინოფიშა, 14.30 — „სიტყვას ვითხოვ" (ფ.), 15.15 — მუსტფილმი, 15.25 — „მუსიკალური ბათუმი" — ბათუმის ხალხური შემოქმედება, 16.00 — კინოს მოყვარულთათვის, 17.20 — ფოლკლორული სალამურაზეგვნი, 18.45 — „სოპოგის მელოდიები", 19.15 — საგანეთვიზიო სპექტაკლი — „მარადისობის კანონი" — ნ. დუმბაძე რომანების „მარადისობის კანონისა" და „მზიანი ღამის" მიხედვით საქართველოს ტელევიზიის დადგმა (პირველი ნაწილი, პრემიერა), 20.20 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — სატელევიზიო სპექტაკლი „მარადისობის კანონი" (მეორე ნაწილი, პრემიერა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური შეხვედრები.

მეორე პროგრამით: 17.05 — მულტიმედიური ფილმები, 17.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბიორგის ჯვრის კავალერი", 18 05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — მხატვრული ფილმი „სიყვარულის მონა", 19.45 — მუსიკალური ფოსტა, 20.35 — დოკუმენტური ფილმი „პარტიის შვილი"!

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ

8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გორდა** (დღისით), **დავითი ბაღრატიონი დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო** (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ქვეყნ ქვემორე ხელისმომწერი** (დღისით და საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ძველი ვალსი** (დღისით), **საპოლიოს ვაშლები** (საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალ